გამარჯვება 87-ე წუთზე

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 1 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “შახტიორი” (დონეცკი) - 2:1 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი (აფშევი), ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“შახტიორი”: სავჩენკო, გოლოვკო, სნეგირიოვი (ნოსოვი), ზუბკოვი, ??დენკო, სალკოვი, მიზერნი, სოროკინი, ანანჩენკო, როდინი, ხმელნიცკი.

მსაჯი: ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

მაშინ, როცა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი ფინიშის სწორზე გადიან, დღის წესრიგში მწვავედ დადგა მთავარი საკითხი: ვინ გახდება ჩემპიონი და რომელი გუნდები დაემშვიდობებიან პირველ ლიგას.

სატურნირო ცხრილის “სარდაფში” მყოფთათვის პანიკაა. ყოველ იღბლიან დარტყმას აქ ოქროს ფასი აქვს. გუნდები გააფთრებულნი ებღაუჭებიან ადგილს “ა” კლასში. მათი სწრაფვა ისევე გასაგებია, როგორც საფეხბურთო კოდექსის მკაცრი პარაგრაფი ოთხი გუნდის ქვედა ლიგაში გადასვლაზე.

მაგრამ ჩემპიონატის ლეიტმოტივად უძლიერესის გამოვლენა რჩება. ბრძოლის სიმწვავე აქაც განუზომელია, თუმცა დიდოსტატთა ურთიერთ დავას უფრო სოლიდური ხასიათი აქვს. მოსკოვის “ტორპედო” თუ თბილისის “დინამო” - აი, ორუცნობიანი განტოლების ამოსავალი წერტილი, რომლის ამოხსნას მოუთმენლად ელის ფეხბურთის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმია.

გვაპატიეთ ეს ლირიკული პასაჟი. მისი მიზანია თბილისის “დინამოს” უფროსი მწვრთნელის გ. კაჩალინის ერთი დებულების დასაბუთება, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს ჩვენი გუნდის შეშფოთებულ გულშემატკივრებსაც.

თბილისის “დინამოს” გარკვეული მიზანი აქვს: პირველი ადგილისთვის ბრძოლა. ეს კარგად ესმით ჩვენს ძირითად მეტოქეებსაც და ისინი განსაკუთრებული სპორტული ჟინით გვეთამაშებიან. უფლება, რომლისთვისაც დღეს ჩვენი გუნდი იბრძვის, სხვათა უფლებაცაა და ამიტომ გადამწყვეტი ორთაბრძოლები ძალზე დიდი ნერვული დაძაბულობით ხასიათდება. სწორედ ამიტომაა, რომ ამ ეტაპზე ბრძოლებს ეწირება ფეხბურთის სანახაობრივი მხარე. ტყუილად ველით იოლ თამაშებსა და ლამაზ გამარჯვებებს! აუტსაიდერებსაც თავიანთი საზრუნავი აქვთ. ამიტომ ისინი შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან. ასე რომ, ჩემპიონობის პრეტენდენტები შავ დღეში არიან. დანარჩენები? ისინიც თავიანთი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობენ, - ზოგიერთი მათგანი საპრიზო ადგილებს უმიზნებს... საფეხბურთო ტურნირის ფინიში მუდამ “ჯოჯოხეთს” მოგვაგონებს. ამიტომ, ძალაუნებურად ლამაზ ფეხბურთს კარგა ხნით უნდა გამოვეთხოვოთ.

დონეცკის “შახტიორი” დღეს ის არაა, რაც ერთი-ორი წლის წინათ იყო. გუნდმა როგორც ჩანს, უარი თქვა წარსულ “ცოდვებზე” და ახლა იგი თამაშობს თანამედროვე ფეხბურთის სწორი პრინციპებით. თბილისის “დინამოსთან” მატჩში “შახტიორმა” აქცენტი რომ დაცვაზე გადაიტანა, - ეს გუნდის საქმეა. ჭარბი ძალებით დაცვა, ხოლო შეტევის წარმოება ცალკეულ მოთამაშეთა (უმთავრესად, ანანჩენკო და ხმელნიცკი) მაღალი ინდივიდუალური თვისებების მაქსიმალური გამოყენებით, - ასეთი იყო დონეცკელთა თამაშის გარეგნული ნახაზი.

“შახტიორი” ძალზე მოძრავი და ფიზიკურად შესანიშნავად მომზადებული გუნდია. მოთამაშეები განუწყვეტლივ იცვლიდნენ ადგილებს და ხშირად ძალთა

სიჭარბეს ქმნიდნენ მოედნის მცირე მონაკვეთზეც კი. მანევრირება მათ ბურთზე დროულად გასვლის საშუალებას აძლევდა, რაც გადამწყვეტი "კოზირია" ბრძოლის წარმატებით წარმოებისთვის.

გ. კაჩალინის აზრით, "დინამომ" რამდენიმე მითითება ზუსტად ვერ განახორციელა, რის გამოც თბილისელი მოთამაშეები დამატებითი სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ. კერძოდ, ყოვლად გაუმართლებელი იყო შესვენებამდე დათუნაშვილის ცენტრისკენ ლტოლვა, სადაც უკვე იყვნენ მეტრეველი, მესხი და ბარქაია. მეორე ტაიმში დათუნაშვილმა მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი ფლანგზე და შეტევის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. სწორედ ამიტომ მიუსწრო 64-ე წუთზე დათუნაშვილმა ბარქაიას დარტყმის შემდეგ ძელიდან უკუგდებულ ბურთს და გოლიც გაიტანა.

9 წუთის შემდეგ სტუმრებმა გაქვითეს გოლი, რომელიც შეიძლებოდა არ გასულიყო. შორი მანძილიდან ანანჩენკომ უნაკლოდ დაარტყა. და სწორედ ამ მომენტში გადაურბინა ცხოვრებოვმა ჩვენს მეკარეს და წამით "დაფარა" ხვრელი, რომელშიც დიდი სისწრაფით გაიელვა ბურთმა.

დინამოელთა შეტევის სული და გული იამანიძე იყო, რომლის თავგამოდებულმა და დაუღალავმა თამაშმა საგრძნობლად ასწია თბილისელთა საბრძოლო სული. თითქმის ყოველთვის დროული იყო იამანიძის კონტაქტი მესხთან. ჩვენი მე-11 ნომრის ნატიფმა ოსტატობამ "შახტიორთან" მატჩში ძველებურად გაიკაშკაშა. თავის შესაძლებლობაზე სუსტად ითამაშა გ. სიჭინავამ.

მატჩის დასკვნითი სტადია "დინამომ" დიდი აზარტით ჩაატარა. ძნელი წარმოსადგენი იყო ანგარიშის შეცვლა: ნ. კრილოვის (მან ისევე როგორც როსტოვში, უნაკლოდ იმსაჯა) საფინალო სასტვენამდე სულ რაღაც 3 წუთი იყო დარჩენილი. თუმცა საამისო ღრუბლები უკვე პირს იკრავდა. და აი, მეტრეველმა უაღრესად დახვეწილი მოძრაობით ჩვენს გუნდს გამარჯვება მოუტანა - 2:1!

ეს იყო ძალზე ძნელი, მომქანცველი ბრძოლა.

ნ. გუგუშვილი.

"ლელო", 3 ოქტომბერი, 1964 წ.